აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		32			
მაქსიმალური საათების რაოდენობა კვირაში		34			

XI კლასი

N	ს ა გ ა ნ ი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	ნიშნების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა კომპონენტისათვის "შემაჯამებელი დავალება"	
		პროგრამული	აბიტური		სემესტრი	
					I	II
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5			4	5
2	მათემატიკა	5			4	6
3	I უცხოური ენა (ინგლისური)	2			2	3
4	II უცხოური ენა (რუსული)	2			2	3
5	ისტორია	2			2	3
6	გეოგრაფია	2	1		2	3
7	ბიოლოგია	2	1		2	3
8	ფიზიკა	2	1		2	3
9	ქიმია	3	1		2	3
10	სპორტი	1				
11	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება	1				
12	არჩევითი საგანი: 1. საქართველოს ენოგრაფია 2. სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა	1			1	1
		1			1	1
13	საღვთო სჯული	1			1	1
14	საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია	1			1	1
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		29	4			
მაქსიმალური საათების რაოდენობა კვირაში		35				

შენიშვნა: საატესტატო საგნებისათვის: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, დამატებით შემოღებულია აბიტურის საათი კვირაში 1 საათი. სულ საათების რაოდენობაა 35 საათი.

XII კლასი

#	ს ა გ ა ნ ი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	ნიშნების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა კომპონენტისათვის "შემაჯამებელი დავალება"	
		პროგრამული	აბიტური		სემესტრი	
					I	II
1	ქართული ენა და ლიტერატ.	5	1		3	4
2	მათემატიკა	5	1		4	4
3	I უცხოური ენა (ინგლისური)	2	1		3	2
4	II უცხოური ენა (რუსული)	2			2	2
5	ისტორია	2	1		1	1
6	გეოგრაფია					
7	ფიზიკა					
8	ქიმია					
9	ბიოლოგია					
10	სპორტი	1				
11	სამოქ. თავდაცვა და უსაფრთხოება	1 0 (0,5)		I სემესტრში კვირაში 1 საათი	1	
12	არჩევითი საგანი: 1. მსოფლიო კულტურა	2/0 (1)				
13	საღვთო სჯული	1			1	1
14	საოჯახო ცხოვრ. ეთიკა და ფსიქოლოგია	1			1	1
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		18,5	4			
		22,5				
მაქსიმალური საათების რაოდენობა კვირაში		24,5				

თაზო 5. გიმნაზიის შეფასების სისტემა

გიმნაზიის შეფასების მიზანია ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და გაკონტროლებას, რომელიც უკავშირდება სწავლის პროცესს და სწავლის შედეგს.

აკადემიური მოსწრების შეფასება არის ხშირი და მრავალმხრივი, რათა მან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და შესაძლებლობების სრულად გამოვლინებას, რისთვისაც გამოიყენება მოსწავლეთა შეფასების მრავალი კომპონენტი, როგორცაა ხეპირი გამოსვლა, პროექტის მომზადება, ესე, ექსპერიმენტის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევრები და სხვა.

მოსწავლეთა შეფასებისას გიმნაზიაში გამოყენებულია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

განმსაზღვრელი შეფასებისას მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. შეფასების სქემები საგნების მიხედვით თვალსაჩინოდ არის გამოკრული საკლასო ოთახებში.

განმავითარებელი შეფასება- 1-4 კლასში მოსწავლე არ ფასდება ქულებით, სემესტრისა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელი საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერს მოკლე განმავითარებელ კომენტარს, სადაც მიეთითება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და ის მექანიზმი თუ რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება მისი პროგრესის მისაღწევად.

V-XII კლასებში მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით.

5.1. მოსწავლეთა შეფასების სისტემა

გიმნაზიაში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი ყველაზე დაბალი. შეფასების ასეთი სისტემა მასწავლებელს აძლევს საშუალებას იყოს მოსწავლეთა შეფასება უფრო ზუსტი და აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი მიღწევების პროგრესი თუ რეგრესი.

ქულები	მიღწევის დონე
10-9	მაღალი
8-7	საშუალოზე მაღალი
6-5	საშუალო
4-3	საშუალოზე დაბალი
2-1	დაბალი

V - XII კლასებში საგნებში "სპორტი" და მოძრაობის უსაფრთხოება და საგზაო ნიშნები, მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩათვალა - არ ჩათვალა.

დამატებითი სავალდებულო საგნები (საღვთო სჯული, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია და საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია) ფასდება ასევე ჩათვლითი სისტემით: ა)პირობითი ჩათვლა (5-6ქ) ბ) ჩათვლა (7-8 ქ) გ) წარმატებით ჩათვლა (9-10 ქ)

დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ნიშნების გამოყვანისას.

5.2. ოფიციალური სტატუსის მქონე ქულათა სახეობები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტების ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში.

საგნის სემესტრული ქულა: საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში.

საგნის წლიური ქულა: გამოითვლება სემესტრული ნიშნების და წლიური გამოცდის ნიშნების გათვალისწინებით.

საერთო წლიური ქულა: საგნების წლიური ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება.

საფეხურის საერთო ქულა: ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

5.3. საგნის, კლასის და საფეხურების დაძლევის და გადაყვანის წესი

დაწესდეს საგნის, კლასის და საფეხურის დაძლევის შემდეგი ბარიერი: 5,5 ქულა.

ა) საგანი დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5,5 ან მეტი;

ბ) კლასი დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საშუალო წლიური და ყოველი საგნის წლიური ქულა არის 5,5 ან მეტი, რაც აძლევს მას შემდეგ კლასში გადასვლის უფლებას.

გ) დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ნიშანი იქნება 5.5 და მეტი ამასთან ყველა საგანში აქვს დადებითი შეფასება, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

დ) საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლეს საფეხურის საერთო ქულა 5,5 და მეტი ამასთან ყველა საგანში აქვს დადებითი შეფასება, რაც აძლევს მას

საბაზო განათლების ატესტატის აღების ან საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

ე) საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლეს საფეხურის ქულა აქვს 5,5 და მეტი და ყველა საგანში დადებითი შეფასება, რაც აძლევს მას საატესტატო გამოცდაზე გასვლის უფლებას.

დახმარების სტრატეგია: გიმნაზია საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ყველა მოსწავლეს, რომელიც ვერ ძლევს სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ ბარიერს. ამ შემთხვევაში გიმნაზიის რექტორატი იღებს გადაწყვეტილებას და საგნის მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ აღნიშნულ მოსწავლეებს მათი ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც გაწერილია სპეციალური გრაფიკით. ამ მეცადინეობების მიმდინარეობას კოორდინირებას უწევს შესაბამისი საგნის კათედრის თავმჯდომარე და კლასის დამრიგებელი, რომელიც მიღწეული შედეგის შესახებ ინფორმაციას აწვდის როგორც მშობლებს, ასევე გიმნაზიის რექტორატს.

5.4. საგნის სემესტრული ქულების შემადგენელი კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

1. საშინაო დავალება;
2. საკლასო დავალება;
3. შემაჯამებელი დავალება.

სამივე შეფასებას ერთი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები:

საკლასო და საშინაო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც გამსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

5.5.შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი და რაოდენობა

ა) ეს კომპონენტი უკავშირდება სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ჯამდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი), დამუშავებით მიღწეული შედეგები, ასევე მოსწავლის კომუნიკაციური უნარიც. შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი დახურული და ღია კითხვებით, მოხსენება, რეფერატი, წარმოდგენა და სხვა.

ბ) გიმნაზიის წინამდებარე სასწავლო გეგმით თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია და ასახულია საათობრივ ბადეში სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი სამუშაოების საგაღდებულო მინიმალური რაოდენობა, რომელიც ფასდება კონკრეტული ნიშნით.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა დავალება, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით, ასევე გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით. მოსწავლეს, რომელმაც გააცდინა რომელიმე შემაჯამებელი დავალება, უფლება ეძლევა აღადგინოს სამუშაო ჩატარების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში ან არა უგვიანეს მომდევნო გეგმიური დავალების შესრულების თარიღისა. აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, შესაბამისი საგნობრივ კათედრებთან და რექტორატთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

გ) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია შეაგროვოს დაშეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელ დავალებათა დამადასტურებელი დოკუმენტები, მასში წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაო რამდენიმე ნიმუში ან ვიზუალური მასალა, თითოეული კლასის მოსწავლეთა მიღებული ქულები და კლასის შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი. შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი უნდა ასახავდეს:

ა) სამუშაოს თემას, მიზანს და სტანდარტს.

ბ) მოსწავლეთა რაოდენობა კლასში.

გ) სამუშაოში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა.

დ) მოსწავლეთა რაოდენობა , რომლებმაც დაძლიეს სამუშაოს სტანდარტი და მიზანი.

მათ შორის:

- მაღალი შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- საშუალოზე მაღალი შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- საშუალო შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- დაბალი შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;

ვ) მასწავლებლის კომენტარი, მოსწავლეთა საერთო შედეგებზე და იმ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებული იქნა მომავალ სამუშაოებისათვის.

შემაჯამებელი სამუშაოების გრაფიკი გეგმას თან ერთვის.

5.6. შეფასება და გაცდენები

1) გიმნაზიის VII - XII საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლემ, რომელმაც წლის განმავლობაში გააძლია კონკრეტული საგნისათვის სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ზე მეტი ფასდება მხოლოდ ექსტერნის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

2) იმ მოსწავლეთათვის რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში სათანადო წერილობითი შუამდგომლობის შემთხვევაში რექტორატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუფრცველებლობის თაობაზე.

თავი 6. გამოცდების ტიპები

გიმნაზიაში სასწავლო წლის მანძილზე ჩატარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:

- 1) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
- 2) განმეორებითი გამოცდა;
- 3) ექსტერნის ფორმით გამოცდა;
- 4) საშემოდგომო გამოცდა;
- 5) სკოლის გამოსაშვები გამოცდა.

6.1. სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდა

ა) საწავლო პროცესების სრულყოფის, მოსწავლეთა ცოდნის და სწავლისადმი პასუხისმგებლობის ამადლების მიზნით საგნობრივი კათედრების რეკომენდაციით ტარდება სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები, რომლის შედეგები

გათვალისწინებული იქნება საგნის წლიური ნიშნის გამოყვანის დროს.

წლიური დამამთავრებელი გამოცდები 2016-2017 სასწავლო წელს ჩატარდება VII - X კლასებში შემდეგ საგნებში:

VII-ა კლასი – მათემატიკა, ჩვენი საქართველო.

VII-ბ კლასი – მათემატიკა, ჩვენი საქართველო.

VIII-ა კლასი – ბიოლოგია, ინგლისური ენა.

VIII-ბ კლასი – ბიოლოგია, ინგლისური ენა.

IX კლასი – ქართული ენა და ლიტ-რა, ქიმია.

X კლასი – ქართული ენა და ლიტ-რა, ფიზიკა.

მე-11 და მე-12 კლასებში გამოსაშვები გამოცდები cat- ის მეთოდით ტარდება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს აბარებენ, რომლის სწავლაც დაასრულეს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). დარჩენილ 4 საგანში ტესტირებას (მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ისტორია) მოსწავლეები სკოლის დამთავრებისას აბარებენ.

6.2. ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა

ამ გამოცდას აბარებენ ის მოსწავლეები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შემდეგ კლასში/ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მისაღებად და ასევე ისინი ვისაც წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30 %-ზე მეტი აქვთ გაცდენილი.

6.3. საშემოდგომო გამოცდა

ა) თუ მოსწავლეს წლიური შეფასების ქულა 5,5 -ზე დაბალია 1-ან 2 საგანში ენიშნება საშემოდგომო გამოცდა;

ბ) საშემოდგომო გამოცდის პერიოდს და წესს განსაზღვრავს გიმნაზიის რექტორი;

გ) მოსწავლის წლიური ნიშანი განისაზღვრება საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე;

დ) საშემოდგომო გამოცდის პერიოდში მოსწავლეებს ჩაუტარდებათ დამატებითი მეცადინეობა და კონსულტაციები;

ე) საშემოდგომო გამოცდა ჩატარდება 2017 წლის 22-27 ივნისის პერიოდში.

6.4. განმეორებითი გამოცდა

თუ მოსწავლე ავადმყოფობის ან სხვა ფორმალური მიზეზის გამო გამოცდაზე ვერ გამოცხადდა დანიშნულ დღეს რექტორატს უფლება აქვს ამ საგანში დანიშნოს განმეორებითი გამოცდა სათანადო საბუთების საფუძველზე. (ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, მშობლის განცხადება).

განმეორებითი გამოცდები ჩატარდება გამოცდების ჩატარების პერიოდში საგნობრივი საგამოცდო კომისიების მიერ და დადგენილი ფორმატით.

მოსწავლე, რომელმაც ორზე მეტ საგანში წლიური შეფასებით ან ექსტერნის ფორმით გამოცდაზე დაიმსახურა დაწესებულ ბარიერზე (5.5) დაბალი შეფასება დამრგვალების გარეშე რჩება იმავე კლასში.

6.5. ნიშნების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ნიშანი გამოიანგარიშება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული სამივე კომპონენტის ნიშნების ჯამის გაყოფით ნიშნების საერთო რაოდენობაზე.

მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგალითად: 6.1 მრგვალდება 6-მდე; 7.5 8-მდე).

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ნიშნის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების და შესრულებული და შესრულებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

მაგალითად, თუ მოსწავლეს სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში მიღებული აქვს 7 ნიშანი, ამასთან 4 გეგმიური შემაჯამებელი დავალებიდან შესარულებული აქვს 2 დავალება, ასეთ შემთხვევაში ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს არა 7-ზე არამედ 9-ზე.

6.6. საგნის წლიური ნიშანი

გიმნაზიის მოსწავლეებისათვის სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრული წესის თანახმად წლიური ნიშანი გამოიანგარიშება ორი სემესტრული და წლიური გამოცდის ნიშნების საშუალო არითმეტიკულიდან. წლიური ნიშანი არასაგამოცდო საგნებში გამოიანგარიშება სემესტრული ნიშნების საფუძველზე, ხოლო საგამოცდო საგნებში - სემესტრული და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე. საგნის წლიური ნიშანი მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ: 7.25 7-მდე; 9.5 10-მდე).

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა გამოცდაზე, დანისნულ დღეს, წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე ენიშნება განმეორებითი გამოცდა გიმნაზიის მიერ განსაზღვრულ საგამოცდო პერიოდში. თუ საპატიო მიზეზის ხანგრძლივობა აღემატება გამოცდების ვადებს, მოსწავლის წლიური ნიშანი გამოიანგარიშება სემესტრული ნიშნების საფუძველზე.

6.7. საერთო წლიური ქულა

საერთო წლიური ქულა გამოითვლება საფეხურის ფარგლებში მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისას.

საერთო წლიური ქულა ერთი ნიშნით გამოიხატება. მისი გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით: ვერებთ გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგნისა და არჩევით საგნების წლიურ ქულას და ჯამს ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე.

საერთო წლიური ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ: 7.14 7.1-მდე; 8.27 8.3-მდე).

კლასიდან კლასში მოსწავლე გადაიყვანება თუ საერთო წლიური ქულა აღემატება 55 ქულას, ამასთან ყველა საგანში წლიური ქულა ტოლია ან მეტია 5.5-ზე.

6.8. საფეხურის საერთო ქულა

საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც გამოითვლება საერთო წლიური ქულა. საფეხურის კლასების ყველა საგნების ქულების ჯამს ვყოფთ მათ რაოდენობაზე (მაგ: მათემატიკა X კლასი, ქართული X კლასი, ქართული XII კლასი, მათემატიკა XII კლასი და სხვა).

საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედებამდე (მაგ: 7.25 7.3-მდე; 9.55 9.6-მდე)

6.9. მოსწავლის აკადემიური მიღწევების აღიარება

მოსწავლე, რომელიც გიმნაზიას წარმატებით დაამთავრებს, რომლის საფეხურის საერთო მიღწევაა 10 ქულა დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალს.

მოსწავლე რომლის საშუალო საფეხურის საერთო მიღწევა მეათედებამდე დამრგვალების შემდეგ არის 9.8 და 9.9 - იღებს ვერცხლის მედალს

თავი 7. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

გიმნაზიის მოსწავლეთა კონტინგენტში დღევანდელი მონაცემებით არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა გიმნაზიის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაუწიოს საგანმანათლებლო მომსახურება ასეთი ტიპის მოსწავლეს. კერძოდ, მეორე კორპუსის გვერდით შემოსასვლელს აქვს ბეტონის პანდუსი ინვალიდის ეტლის გადასადგილებლად, მოწესრიგდა ამ კატეგორიის მოსწავლისათვის ადაპტირებული სველი წერტილი. აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომი იქნება საჭიროების შემთხვევაში მთავარი კორპუსის მეორე სართულზე განლაგებული საკლასო ოთახები და კომპიუტერული კლასი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა შემუშავებულია კონცეფცია:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად გაითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიქმნება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში შეიქმნებაან რომელიმე კონკრეტულ საგანში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
5. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად განისაზღვრება:
 - ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები
 - ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თოთოელ საგანში.
 - გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები. მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა.
 - დ) დამატებით მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი ან ფსიქოლოგი.
 - ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა
 - ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი
 - ზ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გაითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, სულიერი დასუსტი მხარეების შესახებ.
6. სსსმ მოსწავლისათვის სკოლა განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს.
7. ისგ ჯგუფში გაერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი, სკოლის ადმინისტრაციის წევრი,ფსიქოლოგი ან სპეციალური მასწავლებელი.
8. ისგ ჯგუფს ეყოლება კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის მუშაობას (დამრიგებელი ან სპეციალური მასწავლებელი).
9. ისგ-ის შედგენის შემდეგ ჩატარდება ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა.
10. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები, რომლებიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
11. ისგ შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.
12. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს გიმნაზიის ადმინისტრაციას მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია.

13. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად მოამზადებს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიშს, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები.

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება.
2. სსსმ მოსწავლისათვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისათვის.
3. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას, თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
4. სასკოლო გეგმით განსაზღვრულ წლიურ გამოცდას აბარებს სსსმ მოსწავლეც, მისთვის ადაპტირებული საგამოცო მასალით.

სსსმ მოსწავლის შინ სწავლება

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია ან რიგი მიზეზების გამო ვერ დადის გიმნაზიაში, მისი განათლება მოხდება შინ სწავლების მეთოდით. მოსწავლე ირიცხება გიმნაზიაში და გიმნაზია უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც წარიმართება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

საგნისა და სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს სახლში.

კლასი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური საათები კვირის განმავლობაში	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ

თაზი 8. დისციპლინა

გიმნაზიის სასწავლო საამღზრდელო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის სწავლების აუცილებელი უსაფრთხოება და მშვიდი გარემოს შექმნა, სასკოლო ინვეტარისა და ქონების დაცვა. ამ მიზნით, ყველა კლასისათვის შედგენილია ღონისძიებათა გეგმები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრებასა და აღრიცხვას, რომელსაც ყოველდღე აწარმოებენ პედაგოგები და კონტროლს უწევენ კლასის ხელმძღვანელები და გიმნაზიის რექტორატი. ამასთან გიმნაზიის შიგა და გარეთა პერიმეტრებზე დაყენებულია 7

სათვალთვალო ვიდეოკამერა, მაღალ დონეზეა ორგანიზებული მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობა.

დამრიგებლები გამცდენ მოსწავლეებზე ინფორმაციას აწვდიან მშობლებს და აფრთხილებენ მათ გაცდენების დაწესებული ზღვარის (30%)გადამეტების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

მოსწავლის გიმნაზიიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი პედაგოგიური საბჭოს წარდგინებით.

თავი 9. საგანმანათლებლო და არჩევითი საბუნებო

საგნების და ჯგუფების მთავარი პრინციპები

განათლებისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გიმნაზიაში ცალკეული საგნების სწავლება ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. სასწავლო საგნები ერთიანდება ექვს საგნობრივ ჯგუფში:
2. ქართული ენა და ლიტერატურა;საქ. ისტორია, საქ. გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
4. მათემატიკა;
5. უცხო ენები;(ინგლისური, რუსული, გერმანული)
6. დაწყებითი განათლება, ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა;
7. სასულიერო საგნები.

საგნობრივი ჯგუფები შეიცავს მსგავსი მიზნებისა და შესწავლის სფეროების მქონე საგნებს. ამასთან იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საათების განაწილების პრინციპი.

2. თითოეული საგნობრივი ჯგუფის საგნები ისწავლება სამივე საფეხურზე.
3. დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის ხარისხი გაცილებით მაღალია ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც საგნები უფრო სპეციალიზებულად ისწავლება.

საგნობრივი ჯგუფები

9.1. ქართული ენა და ლიტერატურა

ამ საგნის შესწავლამ მოზარდს უნდა განუვითაროს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები საქართველოს სახელმწიფო ენაზე (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი). ამ ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გამოუმუშავოს მოსწავლეს ლიტერატურული

მემკვიდრეობისადმი პატივისცემა, შეაყვაროს კითხვა, ხელი შეუწყოს მხატვრული ნაწარმოებების ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარის ჩამოყალიბებას.

ჯგუფის სავალდებულო საგნებია:

- ❖ ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I - XII კლ.).

9.2. მათემატიკა

საგნის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში კვლევის ჩვევის, აგრეთვე ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების გამომუშავება. ამ საგნის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად.

სავალდებულო საგანი:

- ❖ მათემატიკა (ისწავლება I - XII კლ.);
- ❖ ისტ (ისწავლება I და V კლასში - პირველი დონე, VI კლასში - მეორე დონე).

9.3. უცხოური ენები

უცხო ენამ მოსწავლეს სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა განუვითაროს მინიმუმ ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი. საშუალო საფეხურის დამტავრებისას ერთ-ერთ უცხო ენაში მოსწავლე უნდა ფლობდეს სIII - სIV დონეებს; ხოლო მეორე ენაში სII დონეს;

სავალდებულო საგნები:

- ❖ პირველი უცხო ენა - ინგლისური (ისწავლება I-XII კლ.);
- ❖ მეორე უცხო ენა - რუსული (ისწავლება V- XII კლ.);
- ❖ მესამე უცხო ენა - გერმანული (ისწავლება VII-ა –VIII-ა კლასებში მშობელთა სურვილის მიხედვით).

9.4. საქ. ისტორია, გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები

ამ საგნის ჯგუფის მთავარი მიზანია გამოუმუშავოს მოზარდს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, უნარი განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ ეთნიკური რეალობის გათვალისწინებით.

ამ ჯგუფის სავალდებულო საგნები:

- ❖ ჩვენი საქართველო (ისწავლება V - VI კლ.);
- ❖ ისტორია (ისწავლება VII - XII კლ.);
- ❖ გეოგრაფია (ისწავლება VII - XI კლ.);
- ❖ სამოქალაქო განათლება (ისწავლება IX-Xკლ.).

არჩევითი საგანი:

- ❖ მსოფლიო კულტურა (ისწავლება XII კლ. პირველ სემესტრში);
- ❖ საქართველოს ენოგრაფია (ისწავლება XI კლ.).

9.5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ამ ჯგუფის მეცნიერებებმა მოსწავლეს უნდა გამოუმუშავოს კვლევის, სამყაროს და გარემოს შესწავლის, მისი დაცვისა და შენარჩუნების უნარ-ჩვევები. მოსწავლე გაეცნობა სამეცნიერო მეთოდებს და შეისწავლის მათი გამოყენების ხერხებს სამყაროს აღქმისა და გააზრებისათვის.

- ❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლები (ისწავლება VII - კლასში)
- ❖ ბუნებისმეტყველება (ისწავლება I - VI კლ.);
- ❖ ბიოლოგია (ისწავლება VIII - XI კლ.);
- ❖ ფიზიკა (ისწავლება VIII - XI კლ.);
- ❖ ქიმია (ისწავლება VIII - XI კლ.).

არჩევითი საგანი:

- ❖ სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (ისწავლება X-XI კლ.).
- ❖ საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით XI-კლასში საგამოცდო საგნებისათვის: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, დამატებითი აბიტურის სახით შემოღებულია თითო საათი კვირაში.

9.6. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა

ამ საგნების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, შრომითი და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება; მოზარდის მიერ ხელოვნების ნიმუშების შექმნისა და მათი შეფასების უნარი.

ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი საგნები:

- ❖ სპორტი (ისწავლება I - XII კლ.);
- ❖ მუსიკა (ისწავლება I - IX კლ.);
- ❖ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I - IX კლ.).

9.7. სასულიერო საგნების ჯგუფი

დამატებითი სავალდებულო საგნები:

- ❖ საღვთო სჯული (ისწავლება I - XII კლ.);
- ❖ ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (ისწავლება V – IX ჩათვლით)
- ❖ საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია (ისწავლება X - XII კლ.)

9.8. არჩევითი საგანი

- ❖ სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა - X-XI კლ.;

- ❖ საქართველოს ენთოგრაფია - XI კლ.;
- ❖ მსოფლიო კულტურა - XII კლ.

თავი 10. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, ჯამდება მოსწავლეთა შედეგები, ანალიზდება რა გაკეთდა, როგორ და რა ხარისხით, მშობელთა და გიმნაზიის საქმიანობით დაინტერესებულ სხვა პირთა აზრებს. საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების განთავსება შესაძლებელია გიმნაზიის პოლში მოთავსებულ წინადადებების ყუთში, რომელიც პერიოდულად იხსნება და იქ მოთავსებული რეკომენდაციები ვცდილობთ გავითვალისწინოთ. წლის ბოლოს ჯამდება შედეგები, იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის გასათვალისწინებელ ცვლილებებს რომ განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ სწავლისა და სწავლების ხარისხი და შედეგი.

თავი 11. საბიბლიოთეკო და სხვა ინფორმაციული სამუშაო დრო

გიმნაზიაში არის გამოყოფილი სივრცე ბიბლიოთეკისათვის სადაც რეგისტრირებულია 4025 ერთეული დასახელების სამეცნიერო და საგნობრივი ლიტერატურა. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, არის პირობები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის გაკვეთილების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ადგილზე იმუშაონ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი.

გიმნაზიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებისათვის საჭიროებისამებრ ინფორმატიკის კაბინეტში, რომელიც აღჭურვილია 15 კომპიუტერით, 2 პრინტერით, 1 მაღალი წარმოების ქსეროქსით, ერთი ვიდეო კამერით, 2 პროექტორით, 1 მუსიკალური ცენტრით. კომპიუტერთან მუშაობისათვის გამოყოფილია დრო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ 15⁰⁰ -დან 17⁰⁰ -საათამდე და საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ თავისუფალ დროს.

პროექტორი სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში:

/გ. საჩკოვი/

გიმნაზიის სასწავლო გეგმა განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომის მიერ